
ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედ. №2-ში მდებარე შენობის მცირე მხატვრულ-არქიტექტურული რეზიუმე



თბილისი

2012 წ.


ტერიტორია, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ადგილს წარმოადგენს, სწორედ ისტორიულ კალაში მდებარეობს, უფრო კონკრეტულად კი კალასა და სოლოლაკის მიჯნაზე. სწორედ აღნიშნული მონაკვეთი არის ერთგავრი კვანძი, სადაც კალას ძველი ისტორიული და სოლოლაკის ახალი განაშენიანება იკვეთება. საბედნიეროდ საარქივო გრაფიკულ თუ ფოტო მასალაზე მუშაობის შედეგად, შესაძლებელია კონკრეტული კვარტალის განვითარების, ისტორიისათვის თვალის მიდევნება.




3. თბილისის გეგმა შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. 1735 წელი

XVIII - XIX ს-ის თბილისზე რამოდენიმე ისტორიული ცნობა მოიპოვება, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ზემოთაღნიშნული ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს, პასკევიჩის მიერ 1785 წელს შედგენილი,, 1800, 1802, 1809 წლის გეგმები. მათზე უკვე შეინიშნება თბილისის ზრდის თანდათანობითი ტენდენციები და ჩვენს მიერ საკვლევი ტერიტორიის კონტურებიც თანდათანობით იკვეთება. ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე, აღნიშნული მონაკვეთი ჯერ კიდევ გარეუბანის შემადგენლობაში შედის, რომელზეც სომხური ეკლესია და არაგვის ერისთავის სახლი არის დატანილი. შესაბამისად ამ პერიმეტრზე მდებარეობს ჩვენს მიერ საკვლევი ტერიტორიაც. 1785 წლის გეგმაზე კი უკვე ჩნდება ამჟამინდელი გუდიაშვილის მოედანი და ა.ჟ. აბო თბილელის ქუჩის ჩანასახიც. 1800, 1802, 1809 წლის თბილისის გეგმაზე კი უკვე მკაფიოდ იკითხება აბო თბილელის ქუჩა, რომელიც გუდიაშვილის მოედნიდან, მკვეთრ, ერთგვარ სამკუთხედ კუთხეს ქმნის და პურის მიედანს

უერთდება. აღნიშნული კონფიგურაცია, თბილისის მომდევნო პერიოდის გეგმებზეც აბსოლიტური სიზუსტით არის შენარჩუნებული. მოგვიანებით კონკრეტული კვარტალის, 1867 წლის გეგმაზე უკვე ჩნდება სოლოლაკთან დამაკავშირებელი ქუჩათა ქსელი, მათ შორის, ლერმონტოვის ქუჩაც.




4.5. თბილისის გეგმა. 1800, 1802 წელი



6.7 თბილისის გეგმა. 1903, 1913 წელი

XX საუკუნის დასწყისის თბილისის საარქივო გეგმებზე უკვე ნათლად იკითხება გეგმარებითი განსხვავება თბილისი ძველ და ახალ უბნებს შორის. მაშინ როდესაც კალას უბანი ჯერ კიდევ არარეგულარული, დაქსაქსული

ქუჩებით ხასიათდება, ახალუბანი, რეგულარული ქსელით გამოირჩევა, ადრეულ გეგმებთან შედარებით, გარკვეული ცვლილებელიც იკითხება კალას განაშენიანებაში. ადრეული ქუჩების ჩანასახები, ახლა უკვე სრულყოფილ ქუჩებად არის დაგაქცეული, რომელიც უბნის ერთგვარ "დახლართულ" სტრუქტურაში იწერება. ჩნდება და საბოლოოდ ფორმირდება მცირე მოედნები, მათ შორის, ამჟამინდელი გუდიაშვილის, პურის, იერუსალიმის მოედნები, რომლებიც კვარტლის ურბანული ქსოვილის მნიშვნელოვან ელემენტებად იქცევა, და მჭიდრო, დაქსაქულ ქუჩათა განაშენიანებაში, ერთგვარი სივრცობრივი უბეები შეაქვს და თითოს "ასუნთქებს".



8. თბილისის საარქივო ფოტო. XX ს-ის დასაწყისი

უშუალოდ ჩვენს მიერ საკვლევი ტერიტორიაც, სწორედ ასეთ ისტორიულ განაშენიანებაში მდებარეობს. გუდიაშვილის მოედანს, გვიან შუა საუკუნეებში "ბეჟანას ბაღი ერქვა". 1828 წლამდე მას მოღნინის ბაღსაც უწოდებდნენ. ოფიციალური სახელი მოედანს 1828 წელს რუსულმა იმპერიულმა ადმინისტრაციამ გენერალ პასკევიჩის მიერ სპასრული ქალაქის აღების აღსანიშნავად "აბას-აბადის მოედანი" უწოდა. 1923 წლიდან ბოლშევიკი სტეფანე ალავერდოვის სახელი დაერქვა. 1988 წლიდან აღნიშნულ სკვერს ლადო გუდიაშვილის სახელი უწოდეს.



9. გუდიაშვილის მოედ. №2. თბილისის საარქივო ფოტო. XX ს-ის დასაწყისი

მოედნებზე არსებული შენობები, მთავარი ფასადით, სწორედ ღია სივრცეს ეხსნება. თუმცა ქუჩათა შესაყარზე არსებული ნაგებობები, ჰარმონიულად ერგება კუთხეებს და საინტერსო "გარდამავალ" რგოლს ქმნის. ამასთანავე მოედნის "გახსნილი სივრცეები", ერთგვარად უპირისპირდება, მცირე ქუჩებზე, მიჯრით მდგარ შენობებს, რაც უბნის საერთო მრავალფეროვან მხატვრულ სურათს, ერთგვარ დინამიკასა და მის განსაკუთრებულ მომხიბვლელობას განაპირობებს.



10.11.12.13. ლ. გუდიაშვილის მოედანი და მიმდებარე განაშენიანება. საარქივო ფოტო

აღნიშნულ უბანში, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ შენობათა საკმაოდ მარალი კონცენტრაციაა, რაც უბნის ღირებულებას ერთიორად ზრდის. განაშენიანების უმრავლესობა XIX-XX ს-ის მიჯნით თარიღდება და საკმაოდ მრავალფეროვან მხატვრულ-არქიტექტურულ სურათს ქმნის. აქ ერთმანეთის გვერდით გვხვდება ფსევდო კლასიცისტური თუ მოდერნული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები. მცირე მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები თუ დეტალები, რაც უბნის აგებულებასა და გეგმარებით სტრუქტურასთან ერთად, მის ავთენტურობასა და უნიკალურობას განსაზღვრავს.

თუმც, მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ როგორც საარქივო მასალის კვლევისას აღმოჩნდა, უბნის ისტორია XIX ს-ზე ადრე იწყება. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ იმ შენობების მშენებლობა, რომელმაც დღევანდელ დღემდე მოაღწია, სწორედ ძველ შენობის საფუძველსა და საძირკველზე განხორციელდა. სრულიად დასაშვებია, რომ თითოეული მათგანი, შესაძლოა რამოდენიმე სამშენებლო, ქრონოლოგიურ ფენასაც მოიცავდეს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შენობათა სარდაფები.



14.15.16. გუდიაშვილის მოედანზე გამომავალი შენობები. თბილისის საარქივო ფოტო. XX ს-ის შუა ხანა

სწორედ ამ ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში მდებარეობს უშუალოდ ჩვენს მიერ საკვლევი ობიექტიც, რომელიც არამხოლოდ განაშენიანების ნაწილს, არამედ უბნის ისტორიულ მეხსიერებასა და მის მხატვრულ-არქიტექტურულ დომინანტს წარმოადგენს.





17.18 გუდიაშვილის მოედანზე გამომავალი შენობები. თბილისის საარქივო ფოტო. XX ს-ის შუა ხანა

გუდიაშვილის მოედ. №2-ში მდებარე შენობა, გულგრილად არ ტოვებს არამარტო ძველი თბილისის არქიტექტურის მკვლევარებს, არამედ თბილისის სტუმრებს და უბრალოდ თბილისის მაცხოვრებლებს. შენობის გამორჩეული მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება, არამხოლოდ მიკროუბნის საერთო ხასიათს განსაზღვავს.



19. გუდიაშვილის მოედ. №2. თბილისის საარქივო ფოტო

შენობის შესახებ არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნებულა, რომელიც ახუსტებს შენობის მშენებლობის ქრონოლოგიას (გ. ჩუბინაშვილისა და ნ. სევეროვის, ნ. ბადრიაშვილის, ვ. ცინცაძის, მ. მანიას, ს. ლეჟავას, ც. ჩაჩხუნაშვილი/მ.სურამელაშვილის ნაშრომი და სხვ.) შესაბამისად ჩვენ არ მოვყვებით მის მხატვრულ-არქიტექტურული დირებულების დეტალურ აღწერა-შეფასებას, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შენობაში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ შენობამ მცირედი გადაკეთებით მოაღწია დღევანდელ დღემდე. 30-იანი წლების ნ. სევეროვის საფუძვლიანი ანაზომთან შედარებით,

აღარ არსებობს შიდა ეზოში II სართულთან დამაკავშირებელი კიბე, აივნის რიკულები, ამოშენებულია I სართულის სარკმლები და სხვ[1].




20. გუდიაშვილის მოედ. №2. თბილისის საარქივო ფოტო

1980-იან წლებში ჩატარებულმა სარეაბილიტაციო სამუშაოებმა შენობის ავთენტურობაზე ერთგვარი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა, განსაკუთრებით ანგარიშგაუწევლად შეიცვალა შენობის პირველადი ავთენტური მასალა: ძველი აგურის ფენის დაზიანებული ნაწილები, თეთრი სილიკატური აგურითა და ცემენტის ხსნარით შეიცვალა. უხეში ჩარევა მოხდა ფანჯრის თაღოვანი ფრამუგების, რკინის ნაჭედი მოაჯირის, ეზოს ცხაურისა და ხის ჭიშკრის შეცვლა (იხ. ზემოაღნიშნული სახელოვნებათმცოდნეო კვლევა).

---

[1] ც. ჩაჩხუნაშვილი, მ. სურამელაშვილი "ლ.გუდიაშვილის მოედ. №2. ნაგებობის ისტორიულ-არქიტექტურული რეზიუმე". თბილისი, 2007წ.



21. გუდიაშვილის მოედ. №2. დეტალი. თბილისის საარქივო ფოტო

აღნიშნულმა ჩარევამ, მცირედ მაგრამ მაინც შეცვალა შენობის ავთენტური იერსახე, თუმცა დღევანდელ დღემდე (მიუხედავად მისი მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა), უცვლელი რჩება მისი მხატვრულ-არქიტექტურული, ისტორიული ღირებულება.

დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს შენობის სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც ვფიქრობთ უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილით, რათა მცირედმა არასწორმა ჩარევამაც კი 1980-იანი წლების მსგავსად, შესაძლოა შეცვალოს მისი ერთიანი მხატვრულ-არქიტექტურული ხასიათი. შესაბამისად, სამუშაოების განხორციელებისას ***აუცილებელია სარესტავრაციო მეთოდოლოგიის პროცესის სრული დაცვა,*** *(სასურველია ევროპული სტანდარტების შესაბამისად). სასურველია სარესტავრაციო სამუშაოები დაიგეგმოს და განხორციელდეს რესტავრატორის კონსულტაცია/ზედამხედველობით. ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სარეკომენდაციო საკითხების ნაწილი, დღეისთვის უკვე განხორციელებულია.*

- *სასურველია სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდეს შენობის ზუსტი ანაზომებისა და მისი მრავალდისციპლინარული (არქიტექტურული, მხატვრული, კონსტრუქციული, ინჟინრული, მასალათა ლაბორატორიული) შესწავლისა და შესაბამისი პროექტის შექმნის საფუძველზე;*

- *უპირველესად შესწავლილ უნდა იქნას შენობის კონსტრუქციული მდგრადობა, შესწავლილ იქნას ავთენტური სამშენებლო მასალა, მათი შემადგენლობა და მათი გაანალიზების შედეგად დაიგეგმოს სამომავლო გამაგრებითი სამუშაოები;*

- *სასურველია სარესტავრაციო სამუშაოებისას გამოყენებულ იქნას ტრადიციული სამშენებლო მასალა;*

- *უცვლელად იქნას შენარჩუნებული შენობის ყველა ღირებული, მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები (შენობის ფასადების საერთო გადაწყვეტა, პილასტრები, დეკ. თაღები, დეკ. სარტყლები კარ-სარკმელთა ჭრილები, ქვის სვეტები, ეზოსთან დამაკავშირებელი კიბეები, ხის კარებები, აივნები, ფერადი მუშარაბები, ინტერიერში გამოყენებული ელემენტები, განჯინები, ბუხარი და სხვ);*

- *სასურველია ჩატარდეს ფასადისა და საფასადო არქიტექტურული დეტალების ლაბორატორიული ანალიზი, რის შედეგადაც დადგინდება შენობის პირველადი ფერადოვნება;*

- *მოხდეს სარდაფების გაწმენდა-დამუშავება;*

- *განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით მოხდეს შენობის სარდაფის აღდგენა. ცხადია კონსტრუქციულად დაზიანებული ადგილები უნდა გამაგრდეს და აღდგეს ტრადიციული სამშენებლო მასალითა და ფორმით;*

- *განსაკუთრებული ყურადღებით მოხდეს ხის აივნებისა და დეტალების რესტავრაცია: აღდგენილ იქნას დაზიანებული დეტალები (დაუშვებელია აივნის ან მისი დეტალის თუნდაც სწორი კონსტრუქციული სქემით მექანიკური, ბუტაფორიული დამუშავება) სასურველია ელემენტებისა თუ კონკრეტული დეტალების დამუშავება მოხდეს ხელით;*

- დამუშავებულ და აღდგენილ იქნას შენობაში გამოყენებული ყველა ლითონის ელემენტი;

- აღდგენილ იქნას ეზოში შესასვლელი ღობე/ჭიშკარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარესტავრაციო სამუშაოების ნაწილი შენობაზე ამჟამად მიმდინარეობს, რაც თვალნათლივ აჩენს შენობის ქრონოლოგიურ სამშენებლო ფენებს, გვიანდროინდელ ჩარევებსა და მათ დაზიანებებს. აღნიშნული სამუშაოების წარმოებისას, მოხდა შენობის მარჯვენა და მარცხენა ნაწილების, უკანა ფლიგელთან დამაკავშირებელი მონაკვეთის დემონტაჟი.





22.23 გუდიაშვილის მოედ. №2. შენობის მარცხენა მონაკვეთი

როგორც შენობის მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზიდან ირკვევა, 1980-იან წლებში მოხდა ერთგვარი არაკორექტული ჩარევა, როდესაც დაზიანებული მონაკვეთები, თეთრი, სილიკატური აგურით შეავსეს. როგორც ჩანს მარცხენა მონაკვეთი (რომლის დემონტაჟიც მოხდა) სწორედ ასეთი ჩარევის შედეგია. შესაბამისად ჩნდება აუცილებლობა აღნიშნული

მონაკვეთის აღდგენის, ცხადია კონსტრუქციული დასკვნისა და შენობის საერთო სარესტავრაციო სპეციფიკის გათვალისწინებით.





24.25 გუდიაშვილის მოედ. №2. შენობის მარცხენა მონაკვეთი

რაც შეეხება მარჯვენა მონაკვეთს, აქ ნათლად იკითხება შენობის მძიმე ფიზიკური მდგომარეობა (ეს ნაწილი შენობის ყველაზე ადრეულ ფენას, XIX ს-ის 30-იან წლებს განეკუთვნება). ძველი ქართული აგურით ამოყვანილი კედლები, ნაწილობრივ ჩამოშლილი და დაბზარულია. აქაც სრულიად ნათელი ხდება აღნიშნული მონაკვეთის აღდგენია აუცილებლობა, თუმცა ჩარევა აქაც უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილით. ერთის მხრივ კონსტრუქციულად "შეიკრას" აღნიშნული მონაკვეთი და მაქსიმალურად კორექტული ჩარევა მოხდეს (სასურველია ძველი ანაზომების ან გრაფიკული მასალის დახმარებით /ასეთის არსებობის შემთხვევაში/).



26.27.28. გუდიაშვილის მოედ. №2. შენობის მარჯვენა მონაკვეთი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონაკვეთის მარჯვენა კედელზე, ქვედა ნაწილში ასევე ძველი ქართული აგურის წყობაში, ამოყვანილია მცირე ზომის თაღი, რომელიც შესაძლოა სარდაფის დონეზეც გრძელდებოდეს(?). რესტავრაციის შედეგად, სასურველია თაღი ჩაერთოს ინტერიერში და არ მოხდეს მისი ნალესობის ფენით დაფარვა.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ შენობის მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული, ურბანული, ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით, სასურველია ძეგლზე სამუშაოები განხორციელდეს კორექტულად, მაქსიმალურად დიდი სიფრთხილითა და სარესტავრაციო მეთოდოლოგიის სრული დაცვით.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია

2012